



შ წ ე მ ბ რ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა

გი. შიძელი. სიტყვის ენგაზავნება – ოჯახი. ჩელინი. ცნობები
სურნ. განმარტებულობა. განვითარება – ენიჭულება. საყიდეები. თინაღვისა



№1, ნოემბერი, 2016

ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრაზიდენტ გიორგი კვესიშვილისთვის



ესაუბრა ენვერ ნიუკაძე

ბატონო გიორგი! უნინარეს ყოვლისა, გილოცავთ რამდენიმე დღის უკან სრულად დამსახურებულად მიღებულ თბილისის საპატიო მოქალაქეობას. მინდა გკითხოთ: როგორ გრძნობთ თავს ამ წოდებულებაში და რა არის თქვენთვის საერთოდ თბილისი?

ბატონო ენვერ! თითქოსდა იოლი კითხვა დამისვით, და მანც, საპასუხოდ მთელ ჩემს ცხოვრებას უნდა გადავხედო. მე დავიბადე თბილისში. თბილისში ცხოვრობ, მთელი სიცოცხლე თუ არ ჩავთვლით ხუთნახევარ წელინად, რომელთაგან ორნახევარი წელი ამერიკაში დავყავა, სამი კი – რუსეთში. თბილისი ჩემთვის ყველაფერია და იმდენ რამეს ნიშნავს, რომ ჩამოთვლას კარგა ხანს მოვუნდები. ეს გახლავთ ჩემი ბავშვობა, ჩემი სიყრმის და სიჭაბუკის მეგობრები, სკოლა, უნივერსიტეტი, სპორტი – მძლეოსნობის ყველაზე რთული სახეობა ათჭიდი – ქუჩა, ქუჩური ურთიერთობა, რომელსაც ახალგაზრდობაში, თუ ამას ვითარება მოითხოვდა, არსად გავურბოდი. ჩემი მასწავლებლები და ჩემი კოლეგები. თბილისი ჩემი ფილოსოფია, ჩემი მენტალურტეტი. ეს არის ბიოქიმიის ინსტიტუტი, სადაც ჩამოვყალიბდი, როგორც მეცნიერი და რომელსაც 23 წელინადია ველმძღვანელობა. აკადემია, რომლის

პრეზიდენტიც დღეს ვარ და რომლის ლირსებასაც სიკვდილამდე დავიცავ. ეს არის მშობლების გარდაცვალებით მოყენებული ტკივილი და შვილების დაბადებით მონიქებული სიხარული. და კიდევ დიდი ბედნიერება, რომელიც მე 1974 წლის 14 აპრილს ქართული ენის დიდმა გამარჯვებამ მომიტანა. სადაც არ უნდა წავიდე, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, თბილისი ყოველთვის უკან მეძახის. მივდივარ საზღვარგარეთ და მესამე დღეს ისევ უკან დაბრუნება და თბილისში ყოფნა მინდა. მერე, ჩემ თავს ვსაყვედურობ: რად მინდოდა 5-6-დღიანი მივლინება, არ ჯობდა სამი დღით წავსულიყავი. სამწუხაროდ, სურვილი – ერთია, სინამდვილე კი – მეორე. ვიმეორებ: თბილისი ჩემთვის ყველაფერია!

რა დანიშნულება აქვს მეცნიერებას საზოგადოდ, რა სახელმწიფო დავალება ჰქონდა ქართულ მეცნიერებას და მის ხელმძღვანელ ბირთვს – აკადემიას, ყოფილ საბჭოთა კავშირში და რა ამოცანები დააყენა დრომ დღეს მის ნინაშე?

ადამიანის მიერ პირველად ქვის გალესვა და იმით ნადირობის დაწყება მისი მძიმე ყოფისადმი პირველ მეცნიერულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ ქმედებით ის საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას შეეცადა. მეცნიერების ძირითადი აზრი ხომ კაცობრიობის წინსვლა და მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა. ამ ატიდან მოყოლებული, მეცნიერებას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს. როგორი სუსტიც არ უნდა იყოს ის, მეცნიერება მანც მომგებიანია. ეს აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი მოვლენაა და კამათს არ ეკვემდებარება. დავიწყებ ცოტა ადრიდან, როდესაც მეცნიერება სარწმუნოების წიაღში ვითარდებოდა. ასტრონომია ასტროლოგია, გეოგრაფია, ფილოსოფია, რიტორიკა, და სხვ. ძირითადად ზიკურტებში, ტაძრებში და ეკლესიებში იყო ჩასახული და განვითარებული. ახალ საუკუნეებში რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს თანდათან დაშირდნენ. განსხვავებით სხვა დიდი თუ პატარა ქვეყნებისგან, საბჭოთა კავშირში ეს რადიკალურად მოხდა. ეკლესია

ქართული შუქურა

ქართული შუქურები თანადათან ქრებიან. დღითი დღე კარგავენ წონას და გავლენას. ის დაწესებულებები, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში ატარეს მხრებით ჩვენში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპატიო ტვირთი და ამ მხრივ საზოგადოების წინ ნამყალი ლოკომოტივების როლი შეასრულეს, უცხოური დამანგრეველი, დამრღვევი სამსახურების, უცხოელი და ქართველი კერძო პირების, უცხოური დაბანდებების შემოტევით და ხელისუფლების აშკარა ხელშეწყობით ნამყოების უკანასაკენელი წლების გადასარბენზე ჩიხებში ჩააყენეს. ქართულ შუქურებში ამ განსაზღვრულ შემთხვევაში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იგულისხმება. მათი განქართულება, მათი ქართული ხერხემლის მტვრევა ერთდროულად მაშინ დაიწყო, როდესაც სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ნაწილი აკადემიას ჩამოერთვა და უმაღლეს სასწავლებლებს გადაეცა. და მაინც, ამ სახითაც, ასე შემცირებული და ძალაუფლება აყრილიც აკადემია კვლავ ცოცხლობს და თავის სიტყვას ამბობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დღევანდელი მიმართულება სრულად შეესაბამება ქვეყნის საჭიროებას. წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიების გვერდით მასში კვლავ გაიღვია ეროვნულმა სულმა, რომლის გარეშეც ყველაფერს აზრი ეკარგება. ასლა, როდესაც საქართველოს ყოველი მხრიდან უტევენ და მინა-წყლიდან დაწყებული ყველაფერში ეცილებიან, როდესაც ჩვენს დღევანდელობას პარტიული ინტერესების გათიშულობა ანგრევს, ხოლო ისტორიას ზოგიერთი მეზობელი თუ შორეული სახელმწიფო თავდაყირა აყენებს, როდესაც გამორჩეული ტრადიციების, ზნეობისა და სარწმუნოებრივი მრნამსის მქონე ქვეყანას ბოროტი, ბენელი ძალები უზნეობის ჭაობში ითრევენ და მისგან ამ

საერთოდ აიკრძალა და მეცნიერებისადმი მიღომა, ყოველგვარი რევერსების გარეშე, ერთბაშად შეიცვალა. მეცნიერება ძალდატანებით გასახელმწიფოებრივდა, სახელმწიფოს ინტერესებს დაუქვემდებარდა. ქართველებმა, ბუნებრივი ნიჭიერების წყალობით, უტყუარად აუღეს ალღო იძულებითი და შეუქცევად დი ბუნების მქონე ახალ სამეცნიერო სისტემას, შეძლებისდაგვარად მოერგნენ მას და საქართველოს მეცნიერება მაღლ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე გახდა. პატარა საქართველო, ამ სფეროში თავისი მნიშვნელობით, დიდ უკრაინასთან ერთად ერთ საფეხურზე დადგა. როგორც საბუნებისმეტყველო დარგებმი (ბიოლოგია, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფიზიკა, ქიმია და სხვა), ასევე ჰუმანიტარული დარგებში (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება და სხვა) ჩვენი მეცნიერები ძალიან დიდ შედეგებს აღწევდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინაშე გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. ადრე ის დიდი, მილიტარიზებული ქვეყნის ერთ სეგმენტს წარმოადგენდა და და სხვადასხვა კუთხით და მიღვომით, საბოლოო ჯამში მიღიტარიზებული ქვეყნის ამოცანებს წყვეტდა. ეს იყო მისთვის პირველი რიგის მიმართულება, რომელიც შემდგომში შინაარსით კიდევ უფრო გამოიკვეთა და საბოლოოდ მაგისტრალურ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ახალ, არა-კომუნისტურ საქართველოს, უკვე აღარ ჰქონდა, და არც შეიძლებოდა ჰქონდა მიღიტარიზებული გეგმები. საჭირო გახდა ახალი მიდგომის, ახალი თვალთახედვის შემუშავება და ახალი მიზნების დასახვა, რაც მეტად ძნელი ამოცანა გამოიდგა და ამიტომ ქართული მეცნიერების ერთი ლიანდაგიდან მეორე ლიანდაგზე გადასვლას გარკვეული დრო დასჭირდა. ამიერიდან მეცნიერება ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ საქართველოში. ის ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. მეცნიერებასთან კამათი და ჭიდილი ქვეყანას ზარალის მეტს არაფერს მოუტანს, რადგანაც სხვა ჩვენს ამოცანებს ვერც გადაგვიწყვიტავს და არც გადაგვიწყვიტავს. ამგვარად, დღევანდელ ეპოქაში, როდესაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საბოლოო ჩამოყალიბება ბევრი მიზეზის გამო

რთული მეცნიერების წინააღმდეგ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. გაივლის დრო და მეცნიერება აუცილებლად იძიებს შეურს ძალაუფლებით აღჭურვილ, პოლიტიკურ ტალღაზე დროებით აღზევებულ ყოველ პირზე, ვინც მის რიტმულ წინსვლას ასე თუ ისე ხელს შეუშლის. მეცნიერების ზოგიერთი დარგი, მაგალითად, ბირთვული ფიზიკა გლობალურ სამხედრო შეიარაღებას და გასამხედროებულ კვლევებს უკავშირდება. ასეთი კვლევები დღეს ჩვენთვის ძვირადღირებულ ფუფუნებად იქცა და მხოლოდ დიდი ქვეყნების პრეროგატივად დარჩა. ამიტომ დღის წესრიგში დადგა გამოყენებითი დარგების განვითარება. ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა, რაც არც თუ იოლი საქმეა, მაგრამ ნელ-ნელა სირთულეებს მოვერიეთ და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოვიპოვეთ. დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიც მიმდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიების განიხილვა და შერჩევა, იმ მიზნით, რომ საუკეთესოებზე მთავრობის ყურადღება გავამახვილოთ და მათ შესასყიდად ბიზნესშენებს რეკომენდაციები გავუწიოთ. სასიხარულოა, რომ ქართველი მეცნიერები ამ კუთხითაც მოწინავე ხაზზე დგანან და ძალიან საინტერესო ტექნოლოგიებს გვთავაზობენ, იმდენად საინტერესოს, რომ ხშირად ისინი გაიცემას იწვევენ. გამომდინარე ჩვენი სამეცნიერო შესაძლებლებიდან, დღეს შემიძლია ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ აკადემია მზად არის საქართველოში ტექნოლოგიური მოდერნიზაციის განსახორციელებლად ანუ თანამედროვე ტექნოლოგიების დასაწერად, იქნება ეს აგრძილებული, სამედიცინო, საინჟინრო თუ სხვა ტექნოლოგიები. ამის პერსპექტივა და ამის შესაძლებლობა არსებობს. თუმცა მეცნიერებისადმი ლტოლვა შემცირდა, მაგრამ რაც დაგვრჩა იმის გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლება.

რომ არ ხდება ეს სხვა, ფუნდამენტურ მეცნიერებებს ეხება. რას გვეტყოდით ჰუმანიტარულ დარგებზე?

არავითარ შემთხვევაში. ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარება რჩება ძირითად აკადემიურ მიმართულებად. ვინ ან რა ძალაში შეიძლება წაშალოს ის დიდი სახელი და დამსახურება, რომელიც მოპოვე-

(გაგრძელება)

უზნეობის დაკანონებას მოითხოვენ, ჩვენი მრავალჭირნახული აკადემია კვლავ წინა პლანზე გამოდის, როგორც ქართული თვითმყობადობის დამცველი დანესებულება და ბევრი საშური საკითხის შესახებ მართალ, ანონილ სიტყვას ამბობს. ჩვენ გვინდა, რომ უწყების ფურცლების მეშვეობით ეს სიტყვა იმ ხალხთან მივიდეს, ვისაც პრობლემურ საკითხთა გადაჭრის ბერკეტები გააჩნია, კერძოდ ხელისუფლებასთან. ასევე გვინდა, რომ ერთმანეთისგან გათიშული საქართველოს საზოგადოებრიობა დარწმუნდეს, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახით, დღეს არსებობს მნიშვნელოვანი ეროვნული ძალა, რომელიც გამოუხმაურებლად, განუხილავად, განუმარტავად არ დატოვებს არცერთ ეროვნულ პრობლემას და ფარად დაუდგება ათასი ჯურის მტრისათვის სამიზნედ ქცეულ ქართულ სინამდვილს.

უწყებაში ძირითადად დაიბეჭდება აკადემიაში არსებული სხვადასხვა კომისიების მკითხველისთვის საინტერესო ანაგარიშები, რუბრიკაში: „მაგდარნი“, გავაცოცხლებთ წარსულის კორიფეებს, რომელთა კვალიც ქართული მეცნიერების განვითარებაში წარუშლელია.

ენვარ ნიშარავა

ბული აქვთ ქართული მათემატიკის, ფიზიოლოგის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის სკოლებს. ფუნდამენტურ მეცნიერებათა გამოყენებით, და არა მათ ხარჯზე, დღეს განვითარებას და კუთხითაღ ადგილს იქნება ინოვაციური გამოყენებითი მეცნიერებაც.

კვერჯერობით რაც თქვენ ბრძანეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეხება. რას გვეტყოდით ჰუმანიტარულ დარგებზე?

რაც შეეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ჩვენი ვინაობის, ენის, განსახლების, ტრადიციების, კულტურის შემსწავლელ დარგებს: ისტორიას, არქეოლოგიას, ენათმეცნიერებას, ეთნოგრაფიას და სხვ. ისინი ყოველთვის წინმავალ დარგებად ითვლებოდნენ აკადემიაში და ასევე ითვლებიან დღესაც. ვერ ვიტყვი, რომ ფინანსურად თვითონაც შევიწროვებული აკადემიისგან მათ უახლოეს მომავალში,

რაიმე მნიშვნელოვანი ფინანსური წახალისება ელოდებათ, მაგრამ შინაარსობრივად ისინი უთუოდ ახალი გამოწვევების წინაშე დგანან. მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ უასლეს არქეოლოგიურ აღმოჩენებს, მაგალითად დიდნაურში (დედოფლისწყარო) და გრაკლიანში (კასპი) შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნა ისეთი „არქაული სიახლეების“ წინაშე დგას, რომელთა ბოლომდე შესწავლას და შედეგების საბოლოო გასაჯაროებას შეიძლება ქველი მსოფლიოს ისტორიის გადაწერაც კი მოჰყეს. არსებობს მოსაზრებები, რომელთა მიხედვით დასავლეთ საქართველოში კულტურა ძველმა ბერძნებმა შემოიტანეს. და აი, დიდნაურის აღმოჩენები ამტკიცებენ, რომ, ფაზისიდან სულ 400 კილომეტრით დაშორებულ დიდნაურში გათხრილ ძვ. 6. XIII საუკუნეში არსებულ ქალაქს ბერძნებთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან მას 500 წლით ადრე ჩაეყარა საძირკუელი, ვიდრე ბერძნები ძვ. 6. VIII საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე სივრცეში პირველი ანტიკურ პოლისებს დაარსებდნენ. ასე რომ, მალე კითხვა შეიძლება შებრუნებით დაისვას: ძველი ბერძნები საქართველოში კულტურის შემოსატანად შემოვიდნენ თუ კულტურის წასაღებად?

აკი წაიღეს კიდეც ჩვენგან ოქროს საწმისი!

დიახაც რომ წაიღეს!

რა შემატა და რა დააკლო აკადემიას ე. წ. გადაკეთებამ, რომელიც 2004 წელს დაიწყო და რომელსაც, მე პირადად გადაკეთებას კი არა უმეცარი გადამკეთებლების გასპიტებულ შეტევას დავარქემვდი. იმ ხანებში მე ემიგრაციაში ვიყავი და ამ პროცესებს ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ მაშინდელი პრესის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებას საამისოდ ამერიკაც აქტიზდა. რადგან ამერიკელები თავიანთი ცხოვრების წესისა და თავიანთი დაწესებულებების ტიპის გავრცელებას ცდილობები ყველგან, ჩავთვალე, რომ მათ ჯერ თავიანთი მეცნიერება და განათლების სისტემა გადაკეთებას, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა რიცხვი მნიშვნელოვნად შეამცირეს და შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ურჩიეს თუ უბრძანეს ქვეყანაში ისეთივე რეფორმების გატარება.

არ დაიჯეროთ, ბატონო ენვერ! რამე დამადასტურებელი საბუთი

ჩვენი განათლების სისტემისა და მეცნიერებათა აკადემიის გადაკეთებაში ამერიკელების პირდაპირი მონაწილეობისა, მე არ გამაჩნია, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ განათლებისა და მეცნიერების იქაურ სისტემებში მათ არავითარი დამაზიანებელი, დამაკნინებელი, მით უფრო, ამერიკისთვის ავის მომტანი რეფორმები არ ჩაუტარებიათ. პირიქით, მათი მეცნიერული პოტენციალი დღითიდლე მატულობს და წილობრივად მსოფლიო მეცნიერების 50% მაინც შეადგენს. ეს არის ქვეყანაში არსებული 5500 უნივერსიტეტი, ათასობით კომპანია და ათასობით ფირმა, ურიცხვი სამხედრო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც უზარმაზარი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს. თავის დროზე, მე მომინია აშშ-ში მუშაობა, თითქმის მთელი სამნახევარი წელინადი. ორმოცამდე იქაური უნივერსიტეტი მაქვს მოვლილი და კარგად ვიცი მათი ძალიან მაღალი დონე. შეუძლებელია არ მოიხიბლო მათი მუშაობით. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ევროპის წამყვან ქვეყნებშიც.

და მანც, ბატონო გიორგი! ასეთ კითხვა მინდა დაგისვათ: გვაქვს თუ არა უფლება ქართველთ, ოდესლაც ფაზისის უმაღლესი რიტორიკული სკოლის – ლაზების აკადემიის (III–IV სს.) ათონის ივერთა და პეტრინონის მონასტრების (X ს.), გელათისა და იყალოთს აკადემიების (XII ს.) პატრიონთ, ზოგჯერ გულის მოსახებლად მაინც ვიამაყოთ ჩვენი ნამყობით, ჩვენსას, არსებულს გავუფრთხილდეთ და სხვისი, გაუთავებელი კარნახი უკუვაგდოთ? ეს მაშინ, როცა, სავარაუდოდ, რუსული დამწერლობა XI–XII სს.-ში შეიქმნა, ამერიკის შეერთებული შტატები XVIII ს.-ის ბოლოს, ხოლო აივარდის აკადემია, რომლითაც ლამისაა ტვინი გამოგვილაყონ – XX ს.-ში?

ჰაი-ჰაი, რომ გვაქვს და უნდა ვიამაყოთ კიდეც, რადგან ის რითაც ვამაყობთ ჩვენი სულეურთხეული წინაპრის ხელით არის შექმნილი და არა ვინმესგან მიტაცებული! აქ მინდა ერთი ამბავი გავიხსენო. 1978 წელს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ტექსაროლოგიურ ინსტიტუტში ლექციას ვკითხულობდი. როდესაც ლექცია დამთავრდა, ერთმა სტუდენტმა ხელი ასწია და მომმართა: ბატონო პროფესორო, ერთი არამეცნიერული და არაპოლიტიკური კითხვა მაქვს და, გთხოვთ, პასუხის მოუტანს.

აკადემიაში, როგორც საზოგადოებას მოეხსენება, 50-დან 95-96 წლამდე ასაკის ადამიანები მოლ-

გამცეოთ. ცხადია, დავეთანხმე და მან მკითხა: რატომ ეწოდა, საქართველოს ჯორჯია, როდესაც ჩვენ შტატს ჯორჯია უკვე ჰქვიაო? ლიმილით მივუგე: ეს საკითხი ალბათ სამთავრობო დონეზე იქნებოდა გასარჩევი, რომ ევროპას საქართველოსთვის ჯორჯია 1000 წლის უკან არ ეწოდებინა მეტეი. ო, ახლა გასაგებია, გამილიმა შეცდუნებულმა სტუდენტმა. ბრმაც კი ხედავს და ყრუსაც კი ესმის, როგორი უსირცხვილობით და თავებედობით ცდილობენ მეზობელი სომხები, ჩვენი კულტურის ძეგლების მითვისებას, ჩვენ არა მარტო უნდა ვიამაყოთ ჩვენი კულტურის უძველესი ძეგლებით, არამედ უნდა დავიცვათ ისინი. აქ კი ქართველი სწავლულების მიმშვენელობა მართლაც განუზომელია. ჩვენმა აკადემიამ, ცოტა ხნის უკან, ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე საკადრისი პასუხი გასცა სომხეთი ეპისკოპოსის ვაზგენ მირზახანიანისა და მის უკან მდგომი დესტრუქციული ძალების აპსურდულ მოთხოვნას საქართველოში არსებული „ვითომდა სომხერი“ ეკლესიების „უკან“ დაბრუნების თაობაზე და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს გარკვეული რეკომენდაციაც მიაწოდა. თავის დასახრელი არც სხვათა წინაშე გვაქვს რამე, მაგრამ თუ ჩვენ ამრეზით შევხედავთ ეროვნული მეცნიერების შესაძლებლობებს და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ დღესა და მომავალს მასზე დაყრდნობით არ ავაშენებთ, ერთხელაც იქნება, ვეღარც პასუხს გავცემთ ვერავის და ვეღარც ვერაფერს დავიცვათ.

ბოლო ხანებში აკადემიაზე გახშირებულ თავდასხმებში განსაკუთრებით სისახსირი და დაუნდობლობით შეუტის მხცოვან, ასაკოვან აკადემიკოსებს. ერთი გაზეთის კორესპონდენტმა კი მათ უმოქმედობა უკიჯინა და, როგორც ბეგარის გადამხდელმა, ხელფასები დაამადლა. ანგარიში არ გაუწია იმ ფაქტს, რომ, მისგან განსხვავებით, ამას შემდეგ ასახული ბოლოს, ხოლო აივარდის აკადემია, რომლითაც ლამისაა ტვინი გამოგვილაყონ – XX ს.-ში?

აკადემიაში, როგორც საზოგადოებას მოეხსენება, 50-დან 95-96 წლამდე ასაკის ადამიანები მოლ-

ვაწერებენ. მათგან უხუცესნი, გვარებს არ დავასახელებ, შეადგენენ ქართული მეცნიერების **თერმოს ფონდს**. ესენი არიან დიდი გამოცდილებისა და განათლების მქონე პიროვნებები და სწორულოვარი ცოდნა აქვთ სხვადასხვა დარგებში. აქტივობის კუთხით, ისინი ოდნავ მოკრძალებული და შეზღუდული არიან, და მათი პოტენციალის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში არის შესაძლებელი. ამიტომ განსაკუთრებულ მოპყობას საჭიროებენ. თუ ვინმე მათზე უკადრისი რამე თქვა, დაე, მთემელის სინდისზე დარჩეს.

როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნებითან, ასევე საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში ქართველ მეცნიერთა დიდი ნაკადი გაედინა, რასაც ჩვენი ქვეყნის მოურჩენელი სილარიბე და პესპექტივის უქონლობა განაპირობებს. საზოგადოებას აინტერესებს დაახლოებით რამდენი მეცნიერია ემიგრაციაში დასაქმებული და აქვს თუ არა აკადემიას კავშირები მათთან.

დღეს, არასრული მონაცემებით, საბუნებისმეტყველო დარგებში, საზღვარგარეთ საქართველოდან ნასული 350-ამდე მეცნიერი მუშაობს.

ამდენი? ვიცოდი, რომ ბევრი მეცნიერი გადადგილდა უცხოეთში ჩვენგან, მაგრამ ასეთ რიცხვს ნამდვილად არ მოველოდი. ეს ხომ ჩვენი მეცნიერებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია!

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ამდენი მეცნიერის გადინება თითქმის მისი სამომავლო მეცნიერული პოტენციალის განადგურებას ნიშნავს. ამხელა სამეცნიერო ძალის მთლიანი ჩანაცვლება ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ არც მისი დაკარგვის უფლება გვაქვს და ამიტომ ყოველნარად ცცდილობთ დანაკლისის შესებას. ამასთან ვეძებთ საზღარგარეთ დასაქმებულ მეცნიერებთან საქმიანი კავშირების შენარჩუნების გზებს. შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში ჩვენ მათ ერთობლივ პროექტებში ჩავრთავდით, სტუდენტების მომზადებას დავავალებდით, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩამოყალიბების მიღებას შევთავაზებდით, რაზეც მათი დიდი უმრავლესობა სიამოვნებით ნამოვა. მათ უკვე გააკეთეს ერთი დიდი საქმე: მთელ მსოფლიოს გაცენს საქართველო და საქართველოს მეცნიერება. ისინი დედამიწის ყველა კონტინენტზე არიან დასაქმებული, ოთხივ კუთხით: აღმოსავლეთ-

შიც, დასავლეთშიც, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც. მაგალითად, ორი ჩემი ყოფილი თანამშრომელი პიორქიმიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიდან ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში მსახურობენ და კარგ პოზიციებზე არიან ნამონებული. საერთოდ, ჩვენი გაფანტული მეცნიერების გამოყენება, აკადემიის ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

პატონო გიორგი, რას გვეტყოდით აკადემიაში არსებული კომისიების შესახებ?

სულ აკადემიაში ცხრა კომისია შექმნილი. თვითეული მათგანი თავის საქმეს აკეთებს და აკეთებს კარგად. მე აქ მხოლოდ ახლად შექმნილ კომისიებზე გავამახვილებ ყურადღებას. ინოვაციური ტექნოლოგიების კომისიაზე უკვე მოგახსენეთ მეორე ახალშექმნილი კომისია მინის კომისია გახლავთ. მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა. კორახაშვილია. კომისია მეტად მინშენელოვანი საქმით არის დაკავებული. მოგეხსენებათ რა დღეშია ამჟამად ქართული მინა, რომელიც ნლების მანძილზე სრულიად უკონტროლოდ და უპასუხისმგებლოდ იყიდებოდა. შედეგად მინის მინშენელოვანი ნანილი უცხოელთა ხელში აღმოჩნდა თანაცისეთ უცხოელთა ხელში, რომელთაც, გარდა ფულის შოვნისა, სხვა ინტერესი, მით უფრო ქართული, არ გააჩინათ. ისინი მათ კუთვნილ მინაზე დაქირავებულ ქართველებს ამუშავებენ და საფასურად ძალიან მცირე თანხას უზღიან, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, საქართველოსაც და დაქირავებულ მუშახელსაც ყვლეფენ. სხვა სიტყვას მე აქ ვერ მოგძები. მინის კომისიამ, ამ მხრივ, ბევრი რამ შეცვალა. მისმა ნაყოფიერმა მუშახელამ მინას სხვა ფასი დაადო. საერთოდ კარგი იქნება თუ მინა იჯარით მხოლოდ 5-10 წლით გაიცემა. 49 წლით მინის გაცემა, პრაქტიკულად მის დაკარგვას უდრის.

გეთანხმებით და ჩემგან შემდეგს დავუმატებ: დროა ქართული მინის უცხოელზე გაყიდვა საერთოდ აიკრძალოს, ვიდრე მას საპოლონოდ დავკარგავთ.

ამ თვალსაზრისით, მე სხვა გზას ვერ ვხედავ, და ალბათ სხვა გზა არც არსებობს. ახლა ისევ კომისიების შესახებ. მესამე ახალი და უმნიშვნელოვანესი კომისია, რომელიც აკადემიამ შეიქმნა, არის ეროვნულ პრობლემთა შემსწავლელი კომისია. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სამსახური, რომელიც იმ

პრობლემატურ, ეროვნულ საკოხთა წამოწევას, შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი სამსახურებისთვის მათ გადასაწყვეტად საჭირო რეკომენდაციების მიცემას იტვირთავდა, რომელთაც აღნიშნული კომისია წამოჭრის. საბჭოთა ხანაში ეს საკითხი ჩვენში მიშვებული და მიფურჩებული იყო და ცილისმნამებლებისთვის პასუხის გაცემა ქართველ მწერლთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პიროვნულ სიმამაცეზე იყო დამოკიდებული. საქართველო მტრის წაკლებობას არასდროს არ განიცდიდა, მაგრამ ახლა ავის მოსურნეებმა და ცილისმნამებლებმა, თავი ბოლომდე აიშვეს და ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნგრაფიული, ენათმეცნიერული თუ სხვა კუთხით, ჩვენს ქვეყანაზე წარმოუდგენლ სიცრუეს და სიყალბეს ავრცელებენ. ავრცელებენ ბეჭდური გამოცემებით, პრესით, რადიოთი, ტელეკარხებით, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით და სხვ. მავანი ჯერ წამოაყენებენ ცრულ თეზისებს, უსაფუძლო მოთხოვნებს და თუ ისინი პასუხმიუგებელი დარჩენენ, მერე თავიანთ ავადმყოფურ პრეტენზიებს უფრო ფართო სახეს აღლევნ და ბოლოს ლამის კანონის რაგძი აპყავთ. ისინი საჩივრებით მიმართავენ მსოფლიოს სხვადასხვა ინსტიტუტებს, პასუხისმგებელ ორგანოებს, ბეჭდურ გამოცემებს, ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს და ა. შ და საკითხებს უმეტეს წილად თავიანთ სასაკითხოდ წყვეტინ. სამწუხაროდ, მსგავსი ყალბის მემნელი, ჩვენი თვითმყოფადობის მონინალმდეგ ელემენტები საქართველოშიც მრავალად არიან. მათ მხარს უჭრებენ ჩვენს ირგვლივ არსებული ბოლომდე გაურკვეველი, ბოროტი ძალის დამონის მინაზე და საკითხებს, პასუხისმგებელ ბეჭდურ გამოცემებს, ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს და ა. შ და საკითხებს უმეტეს წილად თავიანთ სასაკითხოდ წყვეტინ. სამწუხაროდ, მსგავსი ყალბის მემნელი, ჩვენი თვითმყოფადობის მონინალმდეგ ელემენტები საქართველოშიც მრავალად არიან. მათ მხარს უჭრებენ ჩვენს ირგვლივ არსებული ბოლომდე გაურკვეველი, ბოროტი ძალის დამონის მინას სხვა ფასი დაადო. საერთოდ კარგი იქნება თუ მინა იჯარით მხოლოდ 5-10 წლით გაიცემა. 49 წლით მინის გაცემა, პრაქტიკულად მის დაკარგვას უდრის.

რომლებიც ამჟამად გადაწყვეტის ფაზაშია. აღნიშნული კომისიები კი უკვე წარმატებით მუშაობენ და ჩვენ ვისმენთ მათ მრავალფეროვან ანგარიშებს. სასიხარულოა, რომ საზოგადოება დაინტერესებულია ამ სიახლეებით და სურს მეტიძეებიტყოს კომისიებზე განხილულ საჭიროობოზო საკითხთა შესახებ. ამზე მეტყველებს სხდომებზე დამსწრეთა მოძალება. აკადემიის კარი დაგმანული არასდროს ყოფილა, მაგრამ დღეს ის მომსვლელთათვის განსაკუთრებით ფართოდაა გაიღებული.

ახლა ცოტა მწარე და გულსატკენ კითხვებზე უნდა გადავიდე.

რას ვიზამთ, სიმართლეს ვერსად გავექცევით.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, 1980 წელს საქართველოში მეცნიერებათა აკადემია 43 სამეცნიერო-საკულევ ინსტიტუტს განაგებდა და მთლიანად აკადემიის სისტემაში 5,5 ათასამდე მეცნიერ-თანამშრომელი იყო დასაქმებული. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?

დავიწყებ იქიდან, რომ მეცნიერება და განათლება ძალიან მჭიდროდ არიან და უნდა იყონ ურთიერთზე გადაბმული. რაც ახლა საქართველოში ხდება, ეს არის ამ მჭიდროების განვყეტა და დაშლა. მაგალითი: ამთავრებს ახალგაზრდა ბაკალავრიატის და თუ გააგრძელა სწავლა, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ, დებულობს აკადემიური დოქტორის წოდებას. ეს გახლავთ საგანმანათლებლო და არა სამეცნიერო ხარისხი. დღეს საქართველოში სამეცნიერო ხარისხი უკვე აღარ არსებობს. ბატონო ენვერ! ჩემი ნათქვამიდან, რაც გნებავთ, ის ამოილეთ, მაგრამ, გთხოვთ, ამ ადგილს ნუ შეხებით! რასაკერძოებია, მეცნიერებათა აკადემია ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ მეცნიერული ხარისხი კვლავ აღდგეს. ზოგიერთს ეს კომუნისტური ტრადიცია ჰქონია, არა და ეს ასე არ არის. ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მხოლოდ ჩვენთან საქართველოშია გაუქმებული. მისი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ხარისხის მაძიებელი, მის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, ირჩევს რაიმე თემას, ამზადებს ამ თემაზე ნაშრომს, ერკვევა საკითხში, აკეთებს დასკვნებს ზოგს ეროვნული, ზოგს კი მსოფლიო მნიშვნელობისას და იცავს დისერტაციას. ეს თანმიმდევრობა ანუ ხარისხის მოპოვების ეს

ტრადიცია აუცილებლად უნდა აღსდგეს საქართველოში. სხვაგვარად აკადემიის არსებობას აზრი ეკარგება. ეს გახლავთ პირველი დარტყმა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმეცართაგან მიადგა. მეორე მძლავრი დარტყმა აკადემიისთვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომევა. სხვათა შორის საკმაოდ მაღალი დონის ინსტიტუტებისა, რომელთა შესახებ არსებობს აკადემიკოს მ. კელლიშისა და სხვა ცნობილი აკადემიკოსების მაღალი შეფასებები. ინსტიტუტების წარმომევამ აკადემიას ხელიდან გამოაცალა მძლავრი იარაღი: საცდელი პოლიგონი, რომლის გარეშე არავითარი მეცნიერება, მით უფრო საბუნებისმეტყველო, არ არსებობს და ვერც იარსებეს. ეს იყო ტრაგიული შეცდომა, მე ვიტყოდი, ბოროტი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც მეტად მძიმეა, მაგრამ ჯერ კიდევ შესაძლებელია. ერთი რამ უნდა გიამბოთ, ამასთან დაკავშირებით, ჩემი პირადი შეხვედრებიდან, რომელიც გნებავთ ამოილეთ და გნებავთ დატოვეთ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვამ, 2004 წელს შემიკვეთა პროექტი, რომელიც ეხებოდა იმ ნიადაგების აღდგენას, სადაც ადრე საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ასეთ ნაომარ ადგილებში თუ ნიადაგში ასაფეთქებელი ნივთიერებები, მაგალითად, ტრინიტროტუოლი, ან RDX ხედება და ათეული წლობით რჩება მასში. თუ ეს მიწები დამუშავდება და მასზე მოსავალი მოვა, ხდება დათესილი კულტურის ფესვებში ნიადაგიდან მისი შეწოვა, შემდეგ ნაყოფში გადასვლა და ბოლოს საკვებ ჯაჭვში შეღწევა, რაც ადამიანში, მისი მიღების შემთხვევაში, წარმოქმნის სიმსივნეს და სხვა გაუგებარ აგადმყოფობებს იწვევს. დავიწყეთ მუშაობა, გამოვიკვლიერ საკითხს და შემკვეთს წარუდგინეთ ანგარიში, რომელიც მოწონებულ იქნა. ამ პერიოდში ქალაქ ვიკისბურგში, სადაც ამერიკის არმიის საკვლევი ცენტრი მდებარეობს, შეხვედრა მომინია გენერალ ედუარდ კენედისთან. საუბარი დიდხას გაგრძელდა. ბოლოს გენერალმა მკითხა, როგორ მიდის საქართველოში მეცნიერების საქმეო. მე ვუთხარ, მანცდამაზნიც დიდი ძვრები არ შეიმჩნევა, ყველაფერი მეცნიერის პირად ინიციატივით და მოხერხებულებაზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე საქმის ორგანიზაციაზე მეთქი. ეს ცუდიაო,

- მითხვა. მერე ხელში რაღაც გამოცემა აიღო და ამიხსნა, რომ წიგნში მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს მეცნიერებას და მიჩნეულია, რომ ის ძალიან ახლოს დგას გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის უკანაინის მეცნიერებათა აკადემიასთან. ცხადია გამიხარდა. გენერალმა გააგრძელა და ასეთი რამ წარმომოქვა: საერთოდ, ქვეყანაში რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნისთვის **5-6 წელია** საჭირო, თავდაცვის სამინისტროს შექმნისთვის **10-12 წელი**, ხოლო მეცნიერების შესაქმნელად - **50 წელიო.** შემდეგ მირჩია: ამიტომ რაც გაქვთ ნუ დაანგრევთ, გაუფრთხილდით, რადგან მისი აღდგენა ძალიან ძნებლი იქნება. აი ასე აფასებდა მეცნიერების ყადრის მცოდნე ხალხი ქართულ მეცნიერებას. ამიტომ მე მეამაყება, რომ იმ ქართული მეცნიერების წარმომადგენელი ვარ, რომელიც კარგა ხანია შექმნილია და დიდ პატივისცემას იმსახურებს. მეამაყება, რომ სხვაგანაც მიცნობენ, რომ ხუთი საერთაშორისო უურნალის რედკოლეგიის წევრი ვარ, რომ რამდენიმე წიგნი მაქს უცხოეთში გამოცემული, რასაც, არავითარ შემთხვევაში, მარტო ჩემ დამსახურებად ვერ ვთვლი. ეს იმ ინსტიტუტის, იმ ლაბორატორიის დამსახურებაა, რომელშიც ჩემთან ერთად მუშაობდა ურთულეს საკულევ საკითხებზე. შედეგად მიღებულია ახალი, რთული ბიოქიმიური ტექნოლოგიები. წარმატებით მუშაობდნენ სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც. ელემენტალური პატრონის ყოლის შემთხვევაშიც ეს ინსტიტუტები დღესაც ძალიან ეფექტურად იმუშავებდნენ. ჩვენ, არამც და არამც, არ ვითხოვთ საბჭოთა ხანის აკადემიის აღდგენას, რომელიც სამხედრო ამოცანებს ემსახურებოდა, თანაც დიდი წარმატებებით, ჩვენ გვინდა ქვეყნის საჭირონი არა სამინისტროში მეცნიერების შემთხვევაშიც ეს ინსტიტუტები დღესაც ძალიან ეფექტურად იმუშავებდნენ. ჩვენ, არამც და არამც, არ ვითხოვთ საბჭოთა ხანის აკადემიის აღდგენას, როგორიც სამხედრო ამოცანებს ემსახურებოდა, თანაც დიდი წარმატებებით, ჩვენ გვინდა ქვეყნის საჭირონი არა სამინისტროში მეცნიერების საქმეო. მე ვუთხარ, მანცდამაზნიც დიდი ძვრები არ შეიმჩნევა, ყველაფერი მეცნიერის პირად ინიციატივით და მოხერხებულებაზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე საქმის ორგანიზაციაზე მეთქი. ეს ცუდიაო,

მე, მაგალითად, აკადემია მენანება იმისთვის, რომ მხოლოდ სხვათა მიერ გააკეთებულ საქმეთა ექსპერტიზები ატაროს, ანუ შეაფასოს შედეგები ისე, რომ წინასწარ დაგეგმვაში მონაწილეობა არ მიიღოს.

რა თქმა უნდა ეს ასეა, მაგრამ არც მარტო დაგეგმვა კმარა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჩვენს ხელქვეით უნდა მუშაობდეს. მას უნდა ჰქონდეს კვარტალური გეგმები, რომლებშიც უნდა ჩანდეს რა მიზნები ისახება და როგორ მიიღოვა ისინი. რა იგეგმება, რა სრულდება და როგორ სრულდება. აკადემიას უნდა ჰქონდეს იმისი სამუალება, რომ მათი მუშაობის მთელ პროცესს თვალი გაადევნოს. უნივერსიტეტები კვლევითი ინსტიტუტების მუშაობას სრულად ვერ აფასებენ. აკადემია კი სწორედ ამისთვის არის მონიდებული. "15-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რომ იყოს ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ, ეს ძალიან დიდ და ეფექტურ შედეგს გამოიღებდა.

უკანასკნელ ათწლეულებში გლობალიზაციის, ანუ გაერთნაირების მომხრე ძალებმა საქართველო შეგნებულად აქციეს ძველი და ახალი პოლიტიკური, რელიგიური, მორალურ-ზნეობრივი და სხვ. კრიტერიუმების შეჯახების სარბილად. გაერთნაირება, რომელსაც ხილულად თითქოს საერთო მსოფლიო ამოცანების გადაჭრა ამოძრავებს, ფარულად კი ეროვნული მრავალფეროვნების ძირ-ფესვიანი განადგურებას ესწრაფვის, ამ მიზნების პრაქტიკულად განსახორციელებლად საქართველოსავით პატარა ქვეყნებს ირჩევს. ცხადია ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია, მას არაფერი გაუვა, რადგან ჩინეთი ყველაფერს ახალს, მოძალებულს მაშივე ჩინურად აფერადებს და ჩინური იერსახეს აძლევს. ჩვენ კი რა ვენათ, დავთმოთ ჩვენ უძველესი ენა, საწმუნოება, კულტურა, ტრადიციები, ისე, როგორც ქართული მინა და ქართული დროშა დავთმეთ?

არავითარ შემთხვევაში! ჩვენ მომავლის წინაშე ვართ ვალებული, რომ ჩვენი თვითმყოფადობა და ქართული სახე თვალის ჩინივით შევინახოთ. საამისოდ, საქართველოს ახლად არჩეულ ხელისუფლებას, რომლის ძალიან დიდი იმედი გვაქვს, ვუსურვებდი ქართველ ხალხთან ხელჩაკიდებულ სიარულს და ყველა მიმართულებით ქვეყნის სასარგებლო, რეალური და განონასწორებული პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პროგლემათა მესძინვლებლი გუდივამების კომისიის სხდომა

ოქმი №4. 15 აპრილი 2016 წელი

კომისიის თავმჯდომარე გორგი კვესიტაძე

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ელიზბარ ჯაველიძე

სხდომას ესწრებოდა კომისიის 21 წევრი

სხდომაზე მოწვეული იყვნენ ცნობილი მეცნიერები და დარგობრივი ექსპერტ-სპეციალისტები

დღის ცესრიგი: საქართველოს მინისტრების ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია-პროგრამის შესახებ (მომხსენებელი: პროფესიონალი პატარი გორგაძე)

მოისმინება: კონცეფცია-პროგრამის ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის პატარი გორგაძის მოხსენება საქართველოს მინისტრები ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობის ძირითად მიმართულებასა და ასპექტზე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კონცეფცია-პროგრამის ავტორთა ჯგუფმა, საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ მეცნიერთა ფუნდამენტურ შრომებზე დაყრდნობით და საქართველოს არეალში არსებული ბუნებრივი რესურსული პოტენციალის მოპოვება-დამუშავების ეკონომიკური სარგებლობის პერსპექტივების გათვალისწინებით, მაკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე, შეარჩია და დაასაბუთა მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე ერთადერთი რესურსი, მინისტრების ბუნებრივი წყლის მარაგების სახით, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: მაღალი ხარისხი, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, სიიაფე, ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი მომხსენებელმა მოკლედ განიხილა. თუ რა სიმდიდრის მფლობელია საქართველო ამ მიმართულებით, რა მოცულობის ნებდლებულის მოქცევაა შესაძლებელი სანარმოო ციკლში და რას მიიღებს აქედან ხალხი.

სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოს ბუნებრივი მინისტრები სასმელი წყლის მარაგები შეადგენს 573 კუბურ მეტრს წამში, აქედან საექსპლოტაციოდ დასაშვები მარაგების მოცულობა განისაზღვრება 301 კუბური მეტრით წამში მსოფლიო მოსახლეობის (დღე-დღამში 26 მილიარდი ლიტრი) რაც სამუალებას იძლევა სრულად დაკამაყოფილოს მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილე-

ბა ხარისხიან სასმელ წყალზე, ისე, რომ არავითარი საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ბიოეკოლოგიურ გარემოს და აუთვისებელი დარჩეს ჭარბი 8,5 მილიარდი ლიტრი. თუმცა საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობიდან (54 მილიარდი ტონა წელიწადში) გამოდინარე, სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობა დაიგეგმა წლიურ 50 მილიონი ტონაზე (2,5 კუბური მეტრი წამში) ჩამოსხმული დაფასოებული მზა პროდუქტის მოცულობით, რაც მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებას მხოლოდ 5 დღის ნორმაა.

ფლობს რა საქართველო ზემოაღნიშნულ, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნად, ბუნებრივ რესურსს, სამეცნიერო ჯგუფის ნინაშე დადგა სამელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვის, მზა პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე გატანისა და იქ ადგილის დამკვიდრების მოდელის შემუშავების აუცილებლობა. ამ მიზნით, მეცნიერთა ჯგუფი და მისი ხელმძღვანელი, წლების განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა უცხოეთის სხვადსხვა საფინანსო ინსტიტუტებთან. სათანადო შეთანხმებებია მიღწეული ამერიკის ევროპის და აზიას კაპიტალის ბაზრის აქტივების მფლობელებთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩინეთის კერძო კაპიტალის საფინანსო ინსტიტუტებთან. სათანადო შეთანხმებებია მიღწეული ამერიკის ევროპის და აზიას კაპიტალის ბაზრის აქტივების მფლობელებთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩინეთის კერძო კაპიტალის საფინანსო ინსტიტუტებთან.

საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობისა და წარმოებული პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე გატანა-დამკვიდრებების დამუშავებული მოდელის გულისხმობას საერთაშორისო სა-

ფონდო ბირჟებზე ბუნებრივი სასმელი წყლის საექსპლოტაციოდ დასაშვები მარაგების მატერიალურებას (ემისიას), ფასიანი მომგებიანი ქალალდების (აქციების, ობლიგაციების, ვექსილების და სხვა ფასეულობების სახით) – ინდუსტრიული წარმოების შედეგად მიღებული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის გაზრდილ მოცულობაზე მიპმით, რაც ქმნის მისაღებ ფინანსურ ინსტრუმენტს, მისი ზრდის პერსპექტივით. აღნიშნული მოდელი იძლევა მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი კლასის საპანკო გარანტიების მაფორმირებელ რეალურ მატერიალურ ფასეულობებს, შეღავათიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები მოხმარდეს დარგობრივი ეკონომიკისგანვითარებას.

კონცეფცია-პროგრამის ავტორთა მიერ მიღწეულია შეთანხმება ბუნებრივი სასმელი წყლის ჩამოსახმელ დამფასოებელი საწარმოების მშენებელ გერმანულ კომპანიასთან, მათი შეუფერხებელი მიწოდებისა და დამონტაჟების საკითხებზე

სამელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობის პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, უცხოელ სტრატეგიულ პარტნიორთა მიერ 2014 წელს შემოთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე. დასმუშავდა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების დინამიური და შედარებით მარტივი მეთოდიკა. იმის გამო, რომ სამელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობისა და წარმოების ორგანოზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საქციო საზოგადოება “საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია” არა არის რეიტინგული კვალიფიციური ორგანიზაცია, მიზანშენონილად ჩაითვალა ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმში ქართული მხრიდან ჩართულ იქნეს საერთაშორისო რეიტინგის მქონე მქონე ორგანიზაცია. ასეთად შერჩეულ იქნა საქართველოს საპარტნიორო ფონდი, რომლის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში, საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონანილეობის გზით, კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხით და ა. შ. სამელი წყლის იდუსტრიის გეგმების განსავითარებლად, საჭიროა სახელმწიფო დონეზე ურთიერთშეთანხმების პირობებში, “სპეციალური მიზნობრივი კომპანიის”

– (SPC)- ს შექნა, რომელიც გამოიყენებს “მისაღებ ფინანსურ ინსტრუმენტი” – (AFLS)-ს საფინანსო ტრანსაქციების განსახორციელებლად. მისღები ფინანსური ინსტრუმენტი – (მფი) გამოშვებული იქნება საპარტნიორო ფონდის მიერ, სპეციალური მიზნობრივი კომპანიისთვის – (სმკ), რომლის პასუხისმგებელ პირს – დირექტორს – ნიშნავს და ათავისუფლებს საპარტნიორო ფონდი, ხოლო – თანადირექტორს – უცხოური საინვესტიციო კომპანია. მფი მოთავსებული იქნება სმკ-ს კუთვნილ საპანკო ანგარიშზე და ეს ინსტრუმენტი იქნება მათ მფლობელობაში და მას გააკონტროლებს როგორც საპარტნიორო ფონდი, ასევე სმკ.

სპეციალური მიზნობრივი კომპანია, ინდუსტრიული მშენებლობის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დარგობრივი ეკონომიკის: ენერგეტიკის, სოფლის და სატყეო მეურნეობის, გადამუშავებელი მრეწველობის, ურბანისტიკის და სხვა სახელმწიფო პროექტების დასაფინანსებლად, გრძელვადიანი, მცირეპროცენტიანი სესხით.

სანების ეტაპზე, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიისა და სატრანსპორტო იფრასტრუქტურის მშენებლობისათვის მობილიზებულ 3 მილიარდი აშშ-ს დოლარით განსაზღვრულ სესხს, ექნება ძალიან დაბალი პროცენტი და საშეღავთო ჟრიდი, რომელიც გამოყენებული იქნება მიზნობრივად, კონკრეტული შემთხვევისთვის.

ზემოთ აღნიშნული დარგობრივი სტრატეგიული პროექტების დაფინანსების პროგრამა დამუშავდება ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე, რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას, საჭიროა სტრატეგიულ პარტნიორებს გაეგზავნოს დაინტერესების შესახებ წერილი (LOI), წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოში მათი მოწვევის თაობაზე, სპეციალური მიზნობრივი კომპანიის შექმნისა და “მისაღები ფინანსური ინსტრუმენტის” გამოყენების შესახებ.

აღნიშნულის შესახებ, ჩვენს მიერ საპარტნიორო ფონდში წარდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია (კონცეფცია-პროგრამა, პიზნეს გეგმა და სხვა, თუმცა ამ მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გად-

აწყვეტილების მიღება ჭიანურდება.

საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასრულებულია გლობალური საკითხების შეთანხმება ალტერნატიული ბაზრის სეგმენტის მოპოვებისა და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე არაბული, ევროპული და აზიური კაბიტალის ბაზრის აქტივების მფლობელებთან. დასრულების ფაზაში ჩინეთის კერძო კაპიტალის საფინანსო ისტიტუტებთან მუშაობა (საფუძველი: მოლაპარაკებების ოქმები და წერილები).

მინისქვეშა სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით (ყველა მუნიციპალიტეტში აშენდება, სულ ცოტა, ერთი ჩამოსხმელ-დამფასოებელი საწარმო), შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურითა და დაგეგმილი საწარმოო სიმძლავრეების სრული ამოქმედების პირობებში, მზა პროდუქციის **0,24 ცენტ/ლიტრი** (შეთანხმებული ფასია) რეალიზაციის შემთხვევაში, FOB საქართველოს ბაზარზე მოტანით, ინდუსტრიის ექსპლოატაციაში გაშვებიდან ერთი წლის თავზე, სახელმწიფოს ბიუჯეტი შეიისება **12 მილიარდი აშშ-ს დოლარის** ექვივალენტი ლარით, საწარმოო და სატრანსპორტო იფრასტრუქტურაში დასაქმდება ათეულ ათასობით ადგილობრივი მკვიდრი, ხელფასით **1500 აშშ დოლარის** ექვივალენტით, ეროვნულ ვალუტაში.

კონცეფცია-პროგრამის ავტორმეცნიერთა ჯგუფის მიერ, უცხოელ სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობით, შექმნილია პროგრამის რეალურად განხორციელებისათვის აუცილებელი პირობა. საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა წარმოდგენილი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის სარეალიზაციო მიზნების ხელშემწყობი პირობების შექმნას, საჭიროა სტრატეგიულ პარტნიორებს გაეგზავნოს დაინტერესების შესახებ წერილი (LOI), წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოში მათი მოწვევის თაობაზე, სპეციალური მიზნების ხელშემწყობი პირობების შექმნას ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად საჭირო მარეგულირებელი ბერკეტების ამოქმედებით.

იმედის საქართველოს მცნიერებათა აკადემიის თანადგომითა და ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით შესაძლებელი გახდება ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სამსახურის მარეგულირებელი ბერკეტების ამოქმედებით.

ზირებელი ფუნქციისა და როლის ამაღლებას საერთაშორისო თანამეგობრობაში და იგი ბუნებრივად განაპირობებს საქართველოსაგან დროებით, დეფაქტო იზოლირებული ეგიონების მოსახლეობის დაინტერესებას, იცხოვონ ერთიან ძლიერ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში.

სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ გამყრელიძე, აპოლონ სილაგაძე, რამაზ შენგელია, რამაზ ხუროძე, ანზორ თოთაძე, თამაზ წივწივაძე, კიაზმ ფიცხელაური, ელიზბარ ჯაველიძე, ზაურ გუმაშვილი, ენვერ ნიუარაძე, ანზორ ჭითანავა, ალექსანდრე ჩხეიძე, ზაურ ციხელაშვილი, პარმენ მარგველაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, ავთანდილ სილაგაძე, რობერტ დიაკონიძე, ირაკლი მიქელაძე, თენგიზ გორდეზიანი, კახაბერ ჭეიშვილი, მიხეილ ჯიბუტი, ირაკლი მიქაძე, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს კონცეფცია-პროგრამის აქტუალობაზე და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონონიკური აღმავლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის სახელმწიფო პროგრამად მიჩნდევა აღიარებია და მისი პრაქტიკული განხორციელების მიზანშეწონილობაზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლკელი მუდმივმოქმედი კომისია ადგენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის წევრთა და დარგობრივი მიმართულების მეცნიერ-სპეციალისტთა და ექსპერტთა დასკვნა.

2. მოწოდებულ იქნას საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია-პროგრამა და იგი, სათანადო რეაგირებისთვის, წარედგინოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

კომისიის თავმჯდომარე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიის გიორგი კვესიტაძე

გიორგი კვესიტაძე

კომისიის პასუხისმგებელი მდგვანი აკადემიკოსი
ელიზბარ ჯაველიძე
დანართი:
1. საქართველოს მეცნიერება-

თა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა (13 ფურცელი);

2. საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია-პროგრამის რეზიუმე (21 ფურცელი) და მოკლე ანოტაცია (3 ფურცელი)

რედაქტორი: ენვერ ნიუარაძე
დაკაბადონება: პაატა ქორქია
იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში